ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №758181

ნომერი: AR1139984

თარიღი : 18.06.2013

გაცემის თარიღი : 25.06.2013

გაცნობის თარიღი : 26.06.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , "თეთრი დუქანი"-ს მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გაბრიელ ხუციშვილი პ/ნ 59001025822
- გორი ოქტომბრის ქ. N 15

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი #01.72.14.034.766) №431061 ბრძანებით გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები სამ სართულიანი სავაჭრო ცენტრის განთავსების მიზნით. შესაბამისად, მოცემული მიწის ნაკვეთი, საჭიროა განვითარდეს ზემოაღნიშნული ქალაქთმშენებლობითი პირობების თანახმად, სადაც შენიშვნის სახით აღნიშნულია, რომ მიწის სამუშაოების დაწყებისას დამკვეთმა უნდა დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს 5 დღისა) აცნობოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს საქართველოს ეროვნულ მუზეუმს.

ყოველივე ზომოთთქმულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, მიწის სამუშაოების წარმოებაზე ნებართვის გაცემა სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია, მხოლოდ საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმების სტადიაზე ან ესკიზური პროექტის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.